

მენინგოკოკური C

რა არის მენინგოკოკური დაავადება?

მენინგოკოკური დაავადება არის სერიოზული დაავადება, გამოწვეული ბაქტერიით *Neisseria meningitidis*. ამ ბაქტერიულმა ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს მენინგიტი (თავის ტვინის გარსის ანთება) და სექტიცემია (სისხლს მოწამვლა).

არსებობს *Neisseria meningitidis* ბაქტერიის სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც იწვევენ მენინგოკოკურ დაავადებას. მენინგიტის C (MenC) ვაქცინის შემოტანამდე 2000 წელს, B და C ჯგუფები იწვევდნენ მენინგოკოკური დაავადების უმეტეს შემთხვევებს ირლანდიაში. C ჯგუფის მენინგოკოკური ბაქტერიების საწინააღმდეგო MenC ვაქცინის წყალობით, C ჯგუფის ბაქტერიებით გამოწვეული მენინგოკოკური დაავადების შემთხვევების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. შემთხვევების უმეტესობა ახლა გამოწვეულია B ჯგუფის ბაქტერიებით.

როგორ ავადდებიან ადამიანები მენინგოკოკური დაავადებით?

მენინგოკოკური ბაქტერია შეიძლება არსებობდეს ყელს უკანა მხარეს ან ცხვირში. ადამიანების უმეტესობა, რომლებიც ამ ბაქტერიებს ატარებენ (გადამტანი), არ ავადდება, მაგრამ მათ შეუძლიათ ბაქტერიების სხვებზე გავრცელება ხველების, ცემინების ან კოცნის გზით. მჭიდრო პირადი კონტაქტი გადამტანთან ზოგჯერ იწვევს ინფექციას. ინფიცირებისთვის საჭიროა მრავალი საათის განმავლობაში მჭიდრო პირადი კონტაქტი, რადგან ბაქტერიები დიდხანს არ ცოცხლობენ სხეულს გარეთ.

მენინგოკოკური დაავადება შესაძლოა ნებისმიერ ასაკში განვითარდეს, მაგრამ ყველაზე ხშირად გვხვდება 1 წლამდე ასაკის ბავშვებში, რასაც მოსდევს 5 წლამდე ასაკის ჯგუფი. მომდევნო ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფში არიან 15-19 წლის ახალგაზრდები. ირლანდიაში ინფექციის რისკი ყველაზე მაღალია ზამთარში და ადრე გაზაფხულზე.

რა არის მენინგოკოკური დაავადების სიმპტომები?

მენინგოკოკური დაავადების დაწყება შეიძლება ძალიან სწრაფი იყოს. სიმპტომები მოიცავს ცხელებას, კისრის გაშეშებას, თავის ტკივილს, სახსრების ტკივილს და გამონაყარს. თუ ფიქრობთ, რომ თქვენს შვილს აქვს მენინგოკოკური დაავადების ნიშნები, დაუყოვნებლივ

HSE-ის ეროვნული იმუნიზაციის სამსახურმა

მიმართეთ სამედიცინო დახმარებას თქვენს ოჯახის ექიმთან ან უახლოეს პედიატრიულგა და უდებელგანყოფილებაში. ზოგიერთ შემთხვევაში სამედიცინო დახმარების სწრაფად მიღება შეიძლება სიკვდილს იცოცხლოს საკითხი იყოს.

მენინგოკოკური დაავადება ძალზე სერიოზული, სიცოცხლისთვის საშიში დაავადებაა.

მენინგოკოკური დაავადებით დაავადებულ ადამიანებთან:

- 20-დან 1 მოკვდება
- გამოჯანმრთელებული 10 ადამიანიდან 1-ს ექნება სერიოზული ინვალიდობა, როგორცაა სიყრუე, ტვინის დაზიანება ან თითების, ფეხის თითების, ხელის მტევნების, ტერფების, მკლავების ან ფეხების დაკარგვა.

ადრეული დიაგნოზი დროული მკურნალობის საშუალებას იძლევა ანტიბიოტიკებით და შესაბამისად, უფრო მეტ შანსს, რომ ადამიანი სრულდგამოჯანმრთელებეს. დიაგნოზის დროულად დასმას არის მთავარი, ასე რომ, თუ ეჭვი გაქვთ, რომ ვინმეს შეიძლება ჰქონდეს მენინგიტი ან სექტიცემია, დაუყოვნებლივ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.

უფრო მეტი ინფორმაცია ხელმისაწვდომია გვერდზე: <http://www.meningitis.org/ireland>

ვინ უნდა მიიღოს მენინგოკოკის C (MenC) ვაქცინა?

მენინგოკოკური C დაავადების პრევენცია ხდება ვაქცინაციის გზით.

ყველს ბავშვს სთავაზობენ [MenC ვაქცინას](#) 6 თვის ასაკში, შემდეგი დოზით, რომელიც მიეცემა 13 თვის ასაკში.

MenC ვაქცინის ბუსტერ დოზა მიეცემა MenACWY ვაქცინაში, რომელიც კეთდება მე-კლასში 2019 წლიდან, რომ უზრუნველყოს თინეიჯერების და მოზარდების დამატებითი დაცვა.

იცავს თუ არა მენინგოკოკის C (MenC) ვაქცინა ყველს მენინგოკოკური დაავადებისგან?

MenC ვაქცინით ხდება მხოლოდ მენინგოკოკური C ინფექციის პრევენცია. მენინგოკოკური ინფექციის სხვა ტიპები არ არის მოცული ამ ვაქცინით.

მენინგოკოკური B ვაქცინა მენინგოკოკური B ინფექციისგან დასაცავად დაინერგა ყველს ბავშვისთვის, რომელიც დაიბადა 2016 წლის 1 ოქტომბერს ან მის შემდეგ, როგორც ირლანდიის ბავშვთა იმუნიზაციის განრიგის ნაწილი.

HSE-ის ეროვნული იმუნიზაციის სამსახურმა

ძალზე მნიშვნელოვანია მენინგოკოკური დაავადების სიმპტომების მიმართ ყურადღების გამოჩენა, რადგან ვაქცინები არ არის მოიცავს ყველა ტიპს. სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში საჭიროა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მოძიება.

ვინ არ უნდა მიიღოს მენინგოკოკის B (MenB) ვაქცინა?

ძალაუნ ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელმაც არ უნდა გაიკეთოს MenC ვაქცინა. თქვენმა შვილმა არ უნდა გაიკეთოს ვაქცინა, თუკი მას ჰქონდა მწვავე ალერგიული რეაქცია (ანაფილქსია) ვაქცინის წინა დოზაზე ან მის რომელიმე ნაწილზე.

რას უნდა ველოდეთ მენინგოკოკის C (MenC) ვაქცინის შემდეგ?

ვაქცინის მიღების შემდეგ თქვენს შვილს შეიძლება ჰქონდეს დისკომფორტი, სიწითლე ან შეშუპება იმ ადგილს გარშემო, სადაც ინექცია გაუკეთეს. ის შეიძლება იყოს გაღიზიანებული და ჰქონდეს სიცხე.

თუ ეს მოხდება, შეგიძლიათ მისცეთ მას პარაცეტამოლი ან იბუპროფენი. ასევე უნდა მისცეთ მას დიდი ოდენობით სითხე. დარწმუნდით, რომ თქვენს შვილს არ სცხელს და რომ ტანსაცმელი არ ეხახუნება ნანემსარადგის.

ბავშვებში, როგორც წესი, ეს უმნიშვნელო გვერდითი ეფექტები ალგდება ერთი ან ორი დღის განმავლობაში

იმუნიზებული ბავშვებიდან:

- 2-დან 1 გაღიზიანებული გახდება
- 20-დან 1-ს ექნება დისკომფორტი, სიწითლე ან შეშუპება ინექციის ადგილზე ან ექნება სიცხე
- 100-დან 1-ს შეიძლება ჰქონდეს კუჭის აშლ ან ღებინება

სერიოზული გვერდითი მოვლენები ძალაუნ იშვიათია.

როგორ მუშაობს მენინგოკოკის C (MenC) ვაქცინა?

MenC ვაქცინა შეიცავს ექსტრაქტებს მენინგოკოკური C ბაქტერიისგან. ვაქცინა მუშაობს იმით, რომ სხეულს იმუნიური სისტემა რეაგირებს ბაქტერიებზე, დაავადების გამოწვევის გარეშე.

რამდენად ეფექტურია MenC ვაქცინა?

HSE-ის ეროვნული იმუნიზაციის სამსახურმა

დადასტურდა, რომ MenC ვაქცინა უსაფრთხო და ძალიან ეფექტურია. ბავშვების 90% ხდება იმუნური C მენინგიტის ბაქტერიის მიმართ, როდესაც ისინი დაასრულებენ ვაქცინის რეკომენდებული განრიგს. მას შემდეგ, რაც ვაქცინა დაინერგა 2000 წლის ბოლოს, მენინგოკოკური დაავადების შემთხვევების რაოდენობა, გამოწვეული C ჯგუფის ბაქტერიებით, მკვეთრად შემცირდა. დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობა 2000 წლის 139-დან 2014 წელს დავიდა 6-მდე; შემცირება 96%-ით. 2021 წელს დაფიქსირდა მენინგოკოკური დაავადების 10 დადასტურებული შემთხვევა.

შენიშვნა: მენინგოკოკური C ვაქცინა იცავს მხოლოდ C ჯგუფის მენინგოკოკური დაავადებისგან და არ იცავს დაავადების სხვა ფორმებისგან, რაც მთავარია, B ჯგუფის მენინგოკოკური დაავადებისგან.

სად შეიძლება გავიგო მეტი?

ესაუბრეთ ჯანდაცვის სანდო პროფესიონალს და ეწვიეთ www.immunisation.ie